

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/114

ქ. ბათუმი

20 სექტემბერი, 2019 წ

ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 - 2022 წლის

სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების“ და ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ზურაბ დარჩიძის 2019 წლის 16 სექტემბრის MES 8 19 01205092 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019-2022 წლის სტრატეგიული გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს შიდა აუდიტის სამსახურს წინამდებარე ბრძანებისა და შიდა აუდიტის დებულების გათვალისწინებით მოამზადოს ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 წლის გეგმა (2019 წლის 1 სექტემბრიდან).
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ალექსანდრე მითაიშვილი

„ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 -2022 წლის სტრატეგიული
გეგმის დამტკიცების შესახებ”
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის
20 სექტემბრის N 01-10/114 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 - 2022 წლის
სტრატეგიული გეგმა

ბსუ-ს ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019-2022 წლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის ჩათვლით ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს, რაც გამომდინარეობს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებიდან“. აღნიშნული აქტივობებია:

1. უნივერსიტეტის მიერ დასახულ მიზნებსა და საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გამოვლენა-დადგენა (მოსალოდნელი შეცდომების, გადაცდომების, შეუთავსებლობის ალბათობის განსაზღვრა და არსებული რისკის მიმართ მიდრეკილების შეფასება).
2. უნივერსიტეტის საქმიანობაში არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების, ხარვეზების, რისკების შესახებ წერილობითი მოსაზრებების განხილვა, დადგენა და შეფასება. მათი პრევენციის მიზნით რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რეკომენდაციების წარდგენა და შესაბამისი დავალების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება.
3. უნივერსიტეტში ასიგნების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა.
4. ფინანსური სახსრების, მატერიალური ფასეულობების და ქონებრივი ღირებულებების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგობრიობის შესწავლა და ანალიზი.
5. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება და მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა.
6. რისკების კატეგორიების გათვალისწინებით, მათი წარმოშობისა და მართვის შეფასება.
7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვით (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული) განსაზღვრული საათების, მათი განაწილებისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ბსუ-ს სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელება.

8. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის მიზნების მისაღწევად ინფორმაციის იდენტიფიცირება, ანალიზი, შეფასება და სათანადო ფორმით დოკუმენტირება.
9. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინფორმირება რისკების იმ სფეროს შესახებ, სადაც აუცილებელია საპასუხო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.
10. შიდა აუდიტის წლიური გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად ცალკეული თემის შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის თემატური შესწავლა.
11. განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და სისტემური აუდიტის განხორციელება.
12. მიმდინარე სამუშაო პროცესში წამოჭრილ საკითხებზე კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვითა და გათვალისწინებით რეკომენდაციებისა და მოსაზრებების შემუშავება და წარდგენა.
13. შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის მონიტორინგი.
14. მოვლენებიდან გამომდინარე შიდა აუდიტორული დასკვნების, რომლებიც მოიცავს შიდა აუდიტის პროცესში გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და შემუშავებულ რეკომენდაციებს, წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.
15. მაკონტროლებელი ორგანოების მიერ უნივერსიტეტისათვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.
16. სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით ან/და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.
17. კვარტალური შიდა აუდიტორული ანგარიშების წარდგენა უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.
18. წლიური შიდა აუდიტორული ანგარიშის წარდგენა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსთან.